




კვირა, 18 ივლისი

ფანი 10 კაპ



ქლაქის მორავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი
(† 14 ილისს, ნაშუადღევს 3 ს. 5 წ.)

თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ილის ხსოვნას.

მოსწყდა ვასკლავი,
ჩინთქა უფსკრულს,
სევა ეუფლა
გულს დაობლებულს...

ბეღმა გვიმუხთლა,
დაობლდა არე,
გაკპრა საუნჯე,
დავრჩით მწუხარე!..

გ. შიხანი

ექ. ვ. დ. ლამბაშიძის სა-ნა-შ-ო-რ-ი-უ-მ-ი

კატარა ცემუი

ბაკურიანის რკინის გზაზე, 4,400 ფ. სამალე

გ ა ი ხ ს ნ ე ბ ა 15 ი ვ ნ ი ს ი ღ ა ნ ვ ი მ არ ი ა მ ო მ ი ს თ ვ ა მ დ ა

ორის განყოფილებით, ერთი—საბავშვო, მეორე—დიდებისთვის.

პირობების გასაგებად წერილით უნდა მიმართონ ბორჯომით პატარა ცემს ექიმს

ვახტანგ ლამბაშიძეს.

4—11

თბილისის კერძო საძკურნალო

30 მუღმივი საწოლით და სამშობიარო განყოფ.

დასაინაო ეოგელ დლე გარეშე

შისარულე ვადმუოფთათვის
ქსენიას ქუჩა, სახლი № 7 „ვეტეკის“ სასტუმროს
ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ. შინ. და ბავშვ. ეოგელ დლე;
გარდა კვირა. 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნურ. და ელექ. ორშ.,
ოთხშ., და შარ. 10¹/₂—11 საათ.

გარბოვსკი-ზარანეი ე. ვ. თვალის. ეო-
გელ-დლე კვირას გარდა 11—1 საათ.

ბურკო გ. ა. შინაგ. შბ. 1—2 ს. და კვირას
11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და კენ. ეოგელ-დლე კვი-
რას გარდა 2¹/₂—3¹/₂ საათ.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბათ.
10—12 საათ.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანა ორშ. და ოთხშბ.
9—10 საათ.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და
შარს. 1—2 საათ.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკრ. ეო-
გელ-დლე 12—1 საათ.

პირადოვი რ. ბ. ეოგელ-დლე 11—12 საათ.

პაპოვი ვ. ა. ეურ., ეელის, და ცხვირ. ეო-
გელ-დლე გრდა შარს. 2—2¹/₂ საათ

სობოლევსკი გ. ვ. ქირ. ეოგ. დლე 9—11 საათ.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი
მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბო-
რატორი. რომელსაც განაგებს ექიმი **ე. გ. ფე-
დოროვი.**

ჩრევ ღირს 50 კ., საწოლები 2 მანა-
თიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც.,
ელექტრონიტ წამ., მისსაქი ყვავილის აცრა,
ძიძაო შემოწმება და სხვა შეღაფათ. საფასურით.

ვატსლის კერძო საძკურნალო

გარდას ეოგელ დლე შისარულე ვადმუოფთათვის.
ვოვზლის ქუჩა, № 8, ს. ენფინჯინცისა, ტელეფ. № 695.

3. ვაშუმაძე—ეოგელ დლე 9—11 საათ.
კიბლის ვადმუოფ.

შ. ა. მიქელაძე—ეოგელ დლე, შინაგ. და ბავ-
შვ. ვაგდ. 1¹/₂—2¹/₂ საათ.

ა. ნ. დიასამიძე—ეოგ. დლე, 11¹/₂ საათ. სი-
ფილისი, კანისა და კენ.

6. მ. მელიქიშვილი—ეოგელ დლე, ქირურგ.
და ქალბისა, 1—2 საათ.

ბ. ა. შაპოვი—ეელ. ეურ. და ცხვირ. ეო,
გელ დლე 12—1 საათ.

3. გ. ფედოროვი ეოგელ დლე, ოთხშ. და
კვირას გარდა, 11—12 2 საათ. შინაგანი
და ბავშუების ვადმუოფთაბანი.

მიკროსკოპული, ბაქტერიოლოგიური და
ქიმიური გამოკვლევანი; აგრედლე ყვავილის
აცრა და ძიძების ვასინჯვა. ფსი რჩევისათვის
50 კაბ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

„ცოდნა“-ს წიგნის მალაზია

(გეორგიევის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის შარდაბირ)
ავრცელებს სასარგებლო შინაარსიან წიგნებს
და საოჯახო სურათებს. იქვე ისყიდება ქარ-
თულ-რუსული სხვა-დასხვა სახელმძღვანელოები
მისამართი: Тифлисть, Книжный Магазинъ.
«Подна» Юс. Ник. Мерквилადзе. მალა-
ზიის პარკონი სოსი.ო მერ.ილიაძი.



წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ღრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან თიფლისს. Редакция „Театри да Цховრება“

Иос. Зах. Имедашвили ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— ხელთნაწერები საპრობისამებრ შესწორდება.— რედაქტორთან პირისპირ მილაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს ხელის მომწერელთ ფულის გამოგზავნა დააჩქარონ.

18 ივლისი 1910 წ.

სიმრავლე მოფიჭვივება, ზერელე მოქთუ ღირსება? მედება ისე არაფერშია დასაგმობი, როგორც ხელოვნებაში...

თუ გუშინ ტლანქი, მოუხემშივი წარმოდგენა, ასე თუ ისე, „აკმაყოფილებდა“ მაყურებელს,—დღეს ამ ფონით ვეღარ გავივლით...

რეპერტუარი და წარმოდგენები,—აი საკითხი, რომელსაც დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა იმან, ვინც სეზონის წარმოებას აპირებს... მაგრამ მარტო ეს არა კმარა: სცენას უნდა ასცდეს ის ნაკლი, რომელიც დღემდე ხშირად სდევდა,—როლის უტოდინარობა, შეუფერებელი გრიმი, გამოუწყობელი ტანისამოსი, პიესის ცუდი ენა, უვარგისი რეჟიზიტი და ბუტაფორია, მოქანავე დეკორაცია, ერთი სიტყვით, თანშეზომილობის დაუცველობა და... უწესვება კულისებსა თუ პარტერში. პიესათა დადგმის გეგმის შეცვლა, ცხოვრების სინამდვილით სცენაზე გადატანა, სრული ილიუზია—აი, რას მოითხოვენ აწინდელი თეატრისაგან...

წინადაც ვსთქვით და ახლაც ვიმეორებთ, სცენის მუშაკთა ღვაწლი წარმოდგენათა სიმრავლით არ განიზომება, არამედ მათის ღირსებით.

სრულიად უნდა დაიგმოს ნაჩქარევად, კასის „გასაყვებად“, რომელიმე კერპ-მსახიობის ქინის დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ შეუფერებელ პიესის დადგმა...

ამისათვის საჭიროა ნაკისრ მოვალეობის სავსებით შეგნება-გათვალისწინება, თეატრის ფარგალში სრული დისციპლინა, დაკვირვებულ და გონივრულ მოქმედება...

დაე, თეატრში ნურც ერთი მაყურებელი ნუ იქნება, ოღონდ პიესამ ხელოვნურად ჩაიაროს,—დაღწმუნებული ვართ, ასეთი წარმოდგენა პირველად, მეორედ და მესამედ თუ არა,—მეოთხედ მაინც მოიზიდავს მაყურებელს და თეატრის დაბაზიდან მაღლიერსაც გაისტუმრებს...

—:—

ქუცმაცი გინახათ თუ არა ნარჩე მჯღოსაქმნიანობა. მარე ნიბლია გული რომ არ ეტევა და წუთის-წუთს ლამობს გაფრენას?! სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებებში მოსაქმეთა უმეტესობა: მიანდობ რაიმე საქმეს და იმის მაგიერ, რომ გულდინჯდ, საფუძვლიანად და გონიერად აწარმოოს მინდობილი საქმე, ყოველ წუთს „გაგაფრენად“ ემზადება... „გაფრინდება“, საქმეს ჩამოეცლება თუ—არა, —ზურგს უკან ქვეს გადმოისვრის,—მადლობა ღმერთს, საზოგადოების წინაშე ვალდებულება მოვიხადეთ!

ამიტომაც არის, რომ ერთის თაობისაგან, ერთის წყევისაგან საძირკველ-ჩაყრილ საქმეს ან კედლების ამშენებელნი არა ჰყავს, და თუ ჰყავს, ძლიერ სუსტნი, უსწორ-მასწოროდ მოსიარულენი... ამიტომაც არის, რომ ჩვენის კულტურულ დაწესებულებათა იდეა-კი ვერ გაგვიღრმავებია, ჩვენ ყველას მის მატარებელთა ერთ ნაწილთაგანად-კი არ წარმოვიგდგენია თავი, არამედ დამოუკიდებელ ბატონმზრანებ-

ლად,—სანამ ჩვენ ვიქნებით, ასე ემართავით და ჩვენ შემდეგ... მეწყერსაც უზინდა ყველაო! ამიტომაც არის, რომ ყოველი ჩვენი ფახი-ფუხია დაწყებული საქმე ქუცმაცდება, აბარად ხდება, მის შორის მთლიანობის იდეა, ერთი მისწრაფება თავიდან ბოლომდე არაა გაბმული...

ტყუილად კი არ არის ხალხი ინტელიგენციაზე გულ-გატეხელი, ტყუილად კი არა კენესის ჩვენი ქვეყანა შეილთა სიბეჩავით, დაუდევრობით... მხოლოდ გარეგნობა, ჩაცმულობა-მორთულობა და დიბლომი როდი ჰქმნიან ადამიანს ინტელიგენტად, ანუ საზოგადო მოღვაწის სახელის ტარება, არამედ განვითარებული გონება, რწმენა უკეთესის მომავალისა, უანგარო სიყვარული ადამიანთადმი, გულწრფელი შრომა, მხოლოდ შრომა და შრომა...

ერთმა და ორმა მარცხმა გული არ უნდა აფიცრუოს საქმეზე, მიზანს არ უნდა ჩამოგვაშროს,— „ქვას გახვრეტს წვეთითუ მუდამ ერთ ადგილს დაედინების“, მოუფიქრებლად არ უთქვამს მგოსანს...

ამიტომაც ჩვენს ახალგაზღვრებს—ბანოვანთა და ყმაწვილკაცთ, მოეწოდებთ პრაქტიკულ მოქმედებას მოჰკიდონ ხელი,—მწიგნობრობის გაფრთხილებას, გამოსადევ ცოდნათა ხალხში დანერგვას, სწავლის მოფენას, ხელოვნების აყვავებას...

თუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კერა ჩანელდა, ნაცარში ხომ ისევ ცეცხლია მიმაღული,—ამას უნდა გავივივება!..

გ ბ რ ი

დავბერდი, სსსე დაძეგნო,
ჯან-ღონე გამოძელია;
გომნობა, კონემა დამკვლად,
სიცოცხლე საეჭველია!

შვი სემარე მიძელის.
გაუხაროდეს ჭიასა!
საფლავზე აეყვავებენ
სხვებისთვის ვარდს და იასა!!

ეს წუთიერი ცხოვრება
მოტუეება თვალისა.—
დღეის-ღღის ტანჯვის ატანა,
ცრუ იძუდა სვალისა!

სამოთხე, სსსუფეველი,
სატკბილ-ოცნებო, გულშია
და უკვდავება მარადი
მხოლოდღა სიყვარულშია!

ეს ვიცი, მაგრამ დავბერდი...
ამენა გსა და კვალი მე
და სიყვარულიც გამოქრა,
დაეჭვარე იდეალი მე!..

სსს



მსახიობქალი ნ. ჯავახიშვილი



ოცახი

როცა ბედნიერი, მშვიდი ცხოვრება გვეშლება წინ, ვინ რთავს გზას ია-ვარდით, ვინ გვაშორებს ეკალსა და ქაცვს?

ოჯახი.

უმაღლესს საფეხურზე როცა ავალით, და პირმოთნეობა, სიყვარული, პატივისცემა აირევა შურისა, დევნისა და სიძულვილის შორის, ვინ გვაღვამს გვირგვინს, გულუბრყვილოთ? უანგაროთ ვინ გვეცემს თაყვანს?

ოჯახი.

ვინ აორკეცებს სიამოვნებას, ვინ აგრძელებს სიტკბოებას?

ოჯახი.

სად მოვისვენებთ დალილ-დაქანცული, სად შეგვაშრობენ ოფლს და არ განიკითხვენ, თუ რატომ მეტი ვერ მოვიმოქმედეთ?

ოჯახში.

დაუძლეობულის, წლებით ვატეხილს, სად მოარჩენენ მოვლით და დამშვიდებით?

ოჯახში.

ცხოვრების ნავი უეცრად რომ ვატყდება, და ყოველი ქაფი დახრჩობას გიპირებს, ყოვე-

ლი ქვის ნატეხი ფეხებში გედება, როცა ზიხლი და შურისძიების სურვილი ფეხ-და-ფეხ გსდევს, ვინ დახრის თავს მწუხარებით და დაგეხმარება სვედის ატანაში?

ოჯახი.

ოჯახი! ნუ ვახლებთ ხელს,—იგი წმინდაა. ყოველს ადამიანს ერთი ადგილი მაინც უნდა ჰქონდეს, სადაც იგი ხელუხლებელი, საყვარელი, მუდამ ერთი და იგივე უკვდავი წევრია.

ნუ ვახლებთ ხელს ყოველთვის, ყოველს მდგომარეობაში სიყვარულის, სათნოების, ღმობიერების და თავგანწირვის ტაძარს—ოჯახს.

ცხოვრების საერთო სიმკაცრე, ცოტა არ იყოს, სუსტდება ოჯახის კერასთან.

დავებმართო, წინადადე თანდაყოლილი თვისებანი ოჯახისა გაეგამაგროთ, მათი უარყოფელი მოვებნაროთ, მოვსპოთ.

მკვიდრი საფუძველი ჩაფუჯდით ოჯახს. ერთი უაღრესი უბედურება იქნება ოჯახის მოსპობა.

ქრისტეს არ ჰქონია ოჯახი, მაგრამ თვითონ ქრისტე იყო ყოველისავე ნათესაყვდელი. ვინც არ იჩემებს—მე თვით ქრისტეს ვარო, სხვებ არ ურჩევს—ქრისტეს თვისებანი მიიწეროს,—მას სჭირდება ოჯახი! **6. ლორთქიფანიძე**

შ ა ვ ი ა ჩ რ დ ი ლ ი

(ხარბიძე)

პიტალო თხემზე ანაფრენი მსუბუქ ნიათი, მსუბუქ ნიათი ცოდვილ მიწას დაშორებული, ვიდექ ბედისა მომღურავი კაცთა სიათი, კაცთა სიათი გულნატკენი, დაღონებული.


ვარსკვლავთა გუნდი ცას ეკვროდა სხივებ-მიმქრალი, სხივებ-მიმქრალი სდარაჯობდა სიციცხლის საზღვარს, და ცის უფსკრულში მიმოჰქროდა ფიქრთ ნაპერწკალი, ფიქრთ ნაპერწკალი, მოწყვეტილი დროთა ნიაღვარს...

სოფელს ეძინა, არ ისმოდა ქვითინი მწარე, ქვითინი მწარე მიწის მკერდით ამოაკენესი, ნისლს დაებურა მშობლიურად ობოლი მხარე, ობოლი მხარე სისხლში ნაბან, ცრემლში ნალესი...

და ცის წიაღზე, ვარსკვლავთ შორის, შავი აჩრდილი, შავი აჩრდილი სიკვდრლისა იხატებოდა, შვე სხივთ აფრქვევდა ცის კაბადონს ის ცელ-გაწვდილი, და ცელ-გაწვდილი დედამიწას ემუქრებოდა...

პიტალო თხემზე ანაფრენი ნიავის ფრთებით, ნიავის ფრთებით დედამიწას დაშორებული, ციურ სიმბოლოს გავცქეროდი იღუმალ გრძნებით, იღუმალ გრძნებით გამსქვალული, დაფიქრებული...

ბ. აბაშელი



ქალაქის მოურავი
† ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი

ძაძით შეიმოსა თბილისი...

ულმობელმა და ხანგრძლივმა სენმა გამოგვცალა დიდბუნებოვანი ადამიანი, ქეშმარიტი მოქალაქე...

ალარა ქეყავს ჩვენის ქალაქის მოურავი, ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი ანუ, როგორც უცვლად ეძახდა, ვასილ ნიკოლაივიჩი...

იგი გარდაიცვალა 14 ივლისს, ნაშუადღევს 3 საათსა და 5 წუთზე.

ეს ამბავი გლოვის ზარად მოედო ქალაქის ყველა მცხოვრებთ, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და წოდების განურჩევლად... და სხვა-ნაირადღე არ შეიძლებოდა, რადგანაც განსვენებულმა თვისი უმწიკვლო მოღვაწეობით ყველას გულში ერთნაირი თანამგრძობი და მოსიყვარულე ადგილი დაიკავა: ეს უდიდესი ჯილდოა ადამიანისა...

ღიად, ყველა ადამიანს არ შეუძლიან, განსაკუთრებით ჩვენს დროსა და ქალაქში, ყველა-სათვის ასე საყვარელი შეიქმნეს, — ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია...

და ამ რჩეულთა ბანაკს ეკუთვნოდა ე. წ. ჩერქეზიშვილიც.

განსვენებული წოდებით თავადი იყო,

დაიბადა 1858 წ. სიღნაღის მაზრ. სოფ. ჩაილურში, ისწავლა თბილისის რეალურ სასწავლებელში, შემდეგ სამთო ინსტიტუტში შევიდა, მაგრამ კურსი ვერ დაამთავრა, დაბრუნდა თბილისს და სამსახურში გაშწესდა. ერთ ხანდასადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად და დეპუტატთა საკრებულოს მდივნადაც იყო. 80-იან წლებიდან თანამშრომლობდა ვახ. „კავკაზ“-ში, ხოლო ი. ნ. მილიუტინის რედაქტორობის დროს მდივნის თანამდებობას ასრულებდა. როცა „კავკაზი“ ე. ველიჩკოს ხელში გადავიდა, ვას. ჩერქეზიშვილის მიმართულება ვერ შეეთანხმა ე. ველიჩკოს მიმართულებას და ჩამოშორდა. ამას შემდეგ მიწვეულ იქმნა ქალაქის უძრავ ქონებათა გადამფასებლად. 1898 წ. არჩეულ იქმნა ქალაქის თვითმართველობის წევრად, მას უკან ქალაქის მოურავის მოადგილედ, ხოლო ქრ. ვერშიშვილის გადადგომის შემდეგ 1907 წ. ქალაქის მოურავად.

ფრიად ძნელსა და შეგნელით მოკულს დროს შეხვდა ვას. ჩერქეზიშვილს ქალაქის საქმეებში ჩაბმა: ჯერ კიდევ ერთგულნი განხეთქილება — შოვინისტური მისწრაფება ღვიოდა, სომეხ-თათართ — აძმათ სისხლი რუებრ დიოდა, ქალაქი ცეცხლის აღში იყო ვახვეული, პარტიული მიღრკილებანი უმაღლეს წერტილამდე იყო მიღწეული, რეაქცია შავი ყორანივით დაჩხავოდა ჩვენს ქვეყანასა და მის გულს — თბილისს...

და, აი, სწორედ ამ დაუდგრომელს ხანაში იტვირთა ვას. ჩერქეზიშვილმა მძიმე, მაგრამ საპატიო მოვალეობა ქ. თბილისის მოურავისა... იკისრა და ბრწყინვალედაც ასრულებდა ამ თანამდებობას...

თურმე დიდბუნებოვანი ადამიანი უდიდეს გასაქირშიაც დიდბუნებოვანებად რჩებიან...

როგორც სულით სპეტაკი, გონება ნათელი და ჭკუშმარტა მოჭაქაქი, დიდის სიღინჯით, ბრძნულის დაკვირვებით და უსაზღვრო სიყვარულით ეპყრობოდა ქალაქის ყველა მცხოვრებელთა ლხინსა თუ ჭირს, მისწრაფებასა და მოთხოვნილებას... და მისს გამჭკობას გონებას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ დღეს თბილისის მრავალ-ეროვან მცხოვრებელთა შორის ისეთი განხეთქილება არ არის, როგორც ოდესმე გვი

Handwritten signature and date: 1910 წლის აპრილი

ჩეზ. როდის იყავი იმათსა?

კორდ. წარსულ პარასკევს.

ჩეზ. მაშ ყველაფერი გეცოდინება.

კირდ. საუბედუროთ, ჰო. მიუღიათ გამო-სახივარი წერილი. ვერ დაგიფარავ, რომ დღეს შენის მიზეზით, იორამიანთ ოჯახი უზო-მო მწუხარებას განიცდის.

ჩეზ. (მწარედ ამოახსრებს)

კორდ. დავიჯერო, შენი მდგომარეობა მართლაც ისე უიმელოა?

ჩეზ. ჩემო ძვირფასო! მუხთაღმა ბედმა ჩემს მომავალს შვიი სუდარა გადააფარა და მით სრულიად ჩაიშალა ჩემი ცხოვრების საუც-ხოვო გეგმა. იმ მიზეზმა, რომელიც ახლა შენც იცი, იძულებულ მყო უკან დამეხია და ასპა-რეზი სხვა, უფრო შესაფერი, კაცისთვის და-მეთმო. ამ ბოლო დროს ქლექის ნიშნებსაც ვაშნენე. არ ვიცი კი საიდან, ან როდის შემე-პარა. ხარატინთ გვარში ვგონებ ესეც იყო-ვინ იცის, იქნებ ეს დღები, ყოველ შემთხვევა-ში ამას გამოარკვევს ნახველის ანალიზი, მაგრამ ბა-ხა-ხა. მეც რასა ვბოდე... ჰო და ასე; როცა ნახო, ჩაგონე, რომ ექიმს და მო-ქალაქეს არ შეეძლო პირადი უბედურების მო-ზიარედ საყვარელი აღამიანი გაეხადა თქო. მართალია პირველ ხანებში იღარდებს, მაგრამ იმედია, დრო და მეგობართა შემომახილი შეაძლებინებენ უბედურების ატანას. ევგენი! ეხედვ მიიწურა ჩემი ყოფნა და ნუ ჩამატან იმის ჯაფრს საფლაოში. ნუ დასტოვებ ოზლოდ, ნუ გაასრესნებ უღირს აღამიანებს, რომელთაც მისი ლამაზი სხეული ძილს უფრთხობს და მსუნჯ მგლებივით უთვალთვალევენ, შენი კი ის დიდი პატივისმცემელია, როგორიც პიროვ-ნების და მეცნიერის. თუ შენ ისურვებ და, რაც შეიძლება, ღრმად ჩასწვდები მის არსებას, დარწმუნდები, რომ მხოლოდ ლელისთანა ქა-ლებს შეუძლიანთ თითო ჩვენგანის სიცოცხ-ლეს მეტი სიღამაზე და შინაარსი შეჰმატონ. მსურს, რომ იმან იგრძნოს შენი სიახლოვე, ნათესაობა. სხვა არაფერი. მოაგონე, არ დამი-ვიწყოს. დროგამოშვებით ინახულოს ჩემი საფლაოვი და ცრემლებიც დააპკუროს. ნუგე-შად ამასაც ვიკარებ. (უეცრავ წამოფარდება

თოფ-ნაკრავივით) შორს ჩემგან, სახიზლარო მოჩ-ვენება!

კორდ. რეზიო! ჩემო მეგობარო რეზიო, რა გემართება?

ჩეზ. (განკალებს და თვალ-გაშტერებით გეზით გაიუყრება სივრცეში) ის მოსულა უკვე ჩემ წა-საყვანად ღ ხიხითებს საზარლად, ხიხითებს. ახ, უთხარი, პირი იქით მიიბრუნოს, ნუ მიტკერის, ნუ მიტკერის... მეშინიან... მეშინიან... (თვალ-გაშტერებულ-გაზინდებულად დგას)

კორდ. (ცრემლები მოეყრება და სსაწარგებითი სეფარსქემა ჩაეშვება)

IV

იგინავე, ელეფთერ და მერე ფილიპე (ელეფ. აიწინსკენ მიდის. უეცრავ გადახედავს ამით და ერთის წუთით გაშეშებას. შემოდის ფილიპე)

ფილ. ბატონო!

ელეფ. (ფილიპეს) რა.?

ფილ. ერთი ვილაცა კაცი გახლავთ და თქვენი ნახვა სურს.

ელეფ. რა უნდა, სადაურია?

ფილ. ხარატინიდან.

ელეფ. (აღწავ შეკრთება) ოო, ჩაქცეს! მაგ წყეულ სოფლიდან კარგი ამბავი არსილდეს არ მომსვლია. დაუძახე.

ფილ. (გაღის და კუდისებში ეხხის) ძმობი-ლო, აქ მოდი! (შემოუძვება და გაღის)

V

იგინავე და გლები

გლები. (შვი დაკერებულად ჩოხით) ბატონი მიცოცხლოს ღმერთმა.

ელეფ. გაგიმარჯოს. რას იტყვი ახალს?

ელეფ. ცოლი მიკვდება, შენი ქირიბე.

ელეფ. ექიმი ავად არის, ვერსად წამოვა. მით უმეტეს ხარატინში. გესმის?

გლები. მაშ დავღებულვარ კაცი.

ჩეზ. (გლეხს) ვინა გყავს ავად?

გლები. (კორდექსს) რა ბრძანა?

კორდ. (გლეხს) ავად ვინა გყავსო“.

გლები. ცოლი, ბატონო.

ჩეზ. რა მოსვლია?

გლები. მუცელი მოსწყდა და ლამის სისხ-ლიდ დაიკალოს.

ჩეზ. როდის მოხდა?

გლები. ორი დღის წინად.

ცხოვრების ერთი შემადგენელ ნაწილთაგანი, როგორ მცირედ გამოსჩანს, როგორ პატარად მოგვეჩვენება მისი მნიშვნელობა თუ კი მას შევუდარებთ მაგ. დიდებულ მხედართა და მეომართა მოღვაწეობას, ან რელიგიითა დამფუძნებელთა, ან კიდევ იმ გონებთა ნაშრომს, რომელთა წყალობითაც გამოცვლილა ხოლომე მთელი მიმდინარეობა კულტურისა!

ახლაც, — თანამედროვე საზოგადოების მრავალფერობაში, ათას სხვადასხვა მიმდინარეობათა შეხვედრაში, ეკონომიურსა, სოციალურსა, პოლიტიკურსა და რელიგიურ ბრძოლაში, — ხელოვნებას ყველაზე ნაკლები და მცირე ადგილი აქვს დათმობილი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც მხოლოდ ერთი ხელოვნება არა კვდება. ოდესმე ამ ჩვენი ეპოქისაგანაც, იმისაგან, რაც დღეს ჩვენ სიმაართელ მიგვაჩნია, ყველა იმისაგან, რაც დღეს ჩვენთვის წმინდა და დიდებული, დარჩება მხოლოდ ერთი ჩვენ მიერ შექმნილი მშვენიერება. უღრმესი აზრი, უგულვრწფელესი და უანჯარო გამარჯვება სულისა, ეს მეტად სუსტი ჭურჭელია მშვენიერებისათვის. ჩვენ იმისათვის ვცხოვრობთ, რომ სხვებმა ჩვენზე იოცნებონ. ხალხი ღელავს და ითმენს ქირს, იმისათვის, რომ მისი ცხოვრება გადამქმნას ზღაპრად მგოსნისა...

საუკეთესო დედა-აზრი თვით ჩვენი დროისაც სადღაც, — ჯერ კიდევ შეუქმნელ მხატვრის ნაწარმოებში იძიავდება...

ხელოვნება მოქმედი ძალა კი არ არის ცხოვრებისა, არამედ — მისი, საუკუნოებში, ცვალებადობის გამოსახულება.

რომელიც გინდათ წვრილი-აიღოთ კაცობრიობის ისტორიისა (ისე, როგორც რომელიმე წუთი რაიმე პროცესში), შეიძლება ორ გვარად შევხედოთ: როგორც მომენტს განვითარებისას; წარმოშობისას, როგორც დინამიურ მდგომარეობას დრო-ჟამში და თან, — როგორც მომენტს სტატიკისას, როგორც დასრულებას ყოველივე წინამორბედისას, როგორც მიზანსა და ბოლოს. პირველ შემთხვევაში ჩვენს წინაშე მიუწოდებელი პროცესია, განუწყვეტელი გარდაქმნა ერთი ნაქეთისა მეორედ, დაუდგრომელი ლტოლვილება აწყყისი, შეუჩერებელი

მუდამ მოძრავი დასაბამი. მეორეში კი — მოედლი წყებაა თვით-მიზანთა წუთებისა, უმოძრაობა, მწვერვალი, გაქავეება, ჯამია. ხელოვნება ჯადოსნური სარკეა, რომელშიაც გამოსჩანს ეს სტატიკა არსებობისა, ეს თვითმიზნობა ნაქეთათა და სახეთა.

ცხოვრება განუწყვეტელი ბრძოლაა წარსულისა მომავალთან. მისი მშვენიერება კი საზარადისო აწყყაა.

ამიტომაც მხოლოდ ერთი უკვდავება არსებობს, უკვდავება მშვენიერებისა.

შალვა დადიანი



გ ა მ ო მ შ ე ი დ ო ბ ე ბ ა

განვშორდი სატრფო ქვეყანას,
ტკიბლ საოცნებო მდელისა;
უზადლო მხარეს, მშობლიურს,
ჩემს ძვირფას საქართველოსა!



გამოვეთხოვე ნათესავთ,
დას, ტოლ მეგობრებს, სწორებსა;
ბუნების ლხენას, მოწყენას,
ნისლიან მთებს და გორებსა!..



მიედივარ... ვემშვიდობები
სატრფოს, სალოცავს გულისას;
ვშორდები... კოცნას ვუგზავნი,
უმწიკვლო სიყვარულისას!




წავალ... იქ ვეღარ მოვისმენ
სიმღერას ტურფა გედისას;
ვერც ვეღირსები, დიდ-ხნობით,
ხვეენას და ალურსს დედისას!..



როდის-ღა ენახე ნეტავი
ჩემს მხარეს, ჩემს ქვეყანასა;
სადაც ვისმენდი აკავნში
მშობლის ნაღვლიან ნანასა!..

ანნა გარე-კახელი



საბავშვო დამბარა

მოკმელება მისამ

ს უ რ ა თ ი I

იგივე სცენა. ფარდის ახლისას სცენაზე არავინ არის.

I

ფარდა ახსდება, მარცხნივ მხრიდან შესურს გადღმოდან მოდის **ონისმე**, **მელიტონი** და **იულონი**.

მელ. ჯერ არავინ მოსულა?

ონისე როგორ არა.

მელიტ. მაშ სად არიან... ჩანჩქერთან?

ონისე ღიად. ნადიმოქ იქ გვექნება.

იულ. (ჭადრა შერთოუდა კაცმა. აცვია ოდნე შეტრედილი სერთოუი, შეღიტინს ჩუმაღ) უნდა ნახო, რა ჩინებული ფარდული ვაუმარაფეთ. სამაგალითო გემოვნების კაცია ეს ელფეთერი.

მელიტ. სად იწერენ ჯვარს?

ონისე წიფეთში.

მელიტ. დიდი ხანია რაც წავიდნენ?

ონისე ერთი ფეხით გავასწრეს?

იულ. (სუფასს სრესით) გეთაყვა, ონისე, რადგან იმათ დაბრუნებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია, უსრძანე აქ (მოუთითებს აფანსზე) მოგვართვან ქადრაკი და ორიოდ ბოთლი ღვინო.

მელიტ. მოიცა, კაცო! შენ სულ ღვინო ვაგონდებ. მერე, მერე, ბ. ონისე, ჯერ იქ წავალთ სტუმრებთან. ვერულიეშვილი აქ არის?

ონისე ჯერ არ გზღებიათ.

მელიტ. არც ოქროპირიძე?

ონისე ის კი აქ არის.

მელიტ. (მცირე ზეუსას შექმდეგ) მართლა, ონისე, რეზიკო როგორ არის?

ონისე ეჰ, ნულარ მკითხავთ, თქვენი ჭირიმე.

მელიტ. როგორ... განა ისეთი რა მოსდის, რომ ასე ვაგეტხიბთ გული?

ონისე რომელი ერთი გეხსრათ. მას შემდეგ, რაც ქალაქიდან ამოვიდა, მთელი ეს კარმიდამო მოშხამულია. არც დღე გვაქს მოსვენება, არც ღამე. (სადაუშლოთ) გუშინწინ ნაშუა-

ლამეგს, როცა ჩემს გარდა ყველას ეძინა, თავისი საყვარელი კატა დაახრჩო. მერე რალაც მიამახა და ხრამში გადაისროლა. უეტრივ წასქდა რალაც ჯოჯოხეთული ხიზნითი. მე შორიახლოს ვიდექი და შინისაგან კვანკალეზდი. უნდა გამოგეტყუთ, ჩემს გამოზრდაში ის იყო პირველი შიში.

მელიტ. ელფეთერმა ვაიგო?

ონისე ღმერთმა დაიფაროს!

მელიტ. ჰო, ავგე სჯობიან, ნუ ეტყვით. თქვე დლოცვილებო, თუ-კი საქმე ასე იყო, რალა ქორწილისა გცხელოდათ? განა გადადებდა არ შეიძლებოდა?

ონისე ჰაი, ჰაი რომ არა. ხვარამზე ლამის ხელში ჩავვადნა, ცალკე ძმის უბედურობით, ცალკე საყვარელ კაცზე ფიქრით. მოგვსენებათ მისი მეტად ნახი და გრამბიერი ბუნება, მით უმეტეს რეზიკოც დაყენებით თხოულობდა მათი დაქორწინების დაჩქარებას. (დასდა) ყოველივე ეს, იმედია, დრომდის ჩვენ შორის დარჩება, თორემ თუ სტუმრებს მოედო...

(ამ სცენას დრამს გამოდის რიადამი და შედის სხლში, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაბრუნდება)

მელიტ. და იულ. არა არა...

მელიტ. ჰაი გილი, რეზიკო!

ონისე ნეტავი ისე კარგი და საყვარელი არ ყოფილიყო. (სამიუენი მიდან მარჯვნივ)

II

აღაყაფის ზატარა კარებადან გამოდის მარცხნივ და შემოდან ეზოში **თ-დი ელფეთერი**, სადღესსწულოდდ მითათული, და **ევეგენი კორდელი**.

კორდ. (დამაზი და ჟან-ღობით სავსე ემწვილი კაცია. აცვია შნთანა ეგრთაული ტანსამოსი. მიხვრა-მოხვრას და ღაზრაცუ ემწევა, რამ წრდილი, დინჯი და განსაფებუდა) მშვილობა აქაურობას, (აქეთ-იქით იტყარება) ყველაფერი თავის რიგზე. ავგე ის მცხოვანი ცაცხვი, რომელზედაც ჩემი გვარია ამოჭრილი, ავგე ის ნაწი, რომელიც რეზიკოს, ყოველ შემინდებისას, მავნე სულად ეჩვენებოდა ხოლმე. მესმის ანკარა წყაროს ჩუხჩუხი და დიდებული ჩანჩქერის მეღვარი ქუხილი. მაშ ასე... კვლავ ელფეთერის საყვარელ ოჯახში ვარ.

ელფეთ. გამდლობთ, დიდათ გამდლობთ მო-

გონებისათვის. რომ იცოდეთ, რა მოხარული ვარ თქვენის მოსვლით. დარწმუნებული ვარ, კორდელის ნახვა რეზიკოს ძლიერ იამება.

კორდ. ვინ იცის, იქნება ვერც-კი მიცნოს. რაათა ხანია არ მინახავს, თუმცა სულიერი კავშირი ჩვენ შორის ერთი დღითაც არ შეწყვეტილა.

ელეფ. იქნება მოგვხედოს უფალმა და ამ მოულოდნელმა შემთხვევამ, ხვარამზეს ბედზე, ცოტათი მაინც გადასწმინდოს შავი ღრუბელი. სხვა? თქვენ სულ დაგვივიწყეთ, ყმაწვილო. სტუდენტობის დროს გვინახულებდით ხოლმე, მერე-კი მოგვიტოლეთ.

კორდ. პირიქით, ბატონო. მუდამ მახსოვდით და სამშობლოში დაბრუნებისას ჩემი პირველი ფიქრი თქვენი ტკბილი ოჯახის ნახვა იყო.

ელეფ. როცა რეზიკოს ვცოხებდი რასმეს თქვენ შესახებ, ღიძის ალტაცებით მიამბობდა ხოლმე თქვენს წარმატებას მეცნიერებაში.

კორდ. მაგდენი არაფერი. რეზიკოს რალაც სენად გადაქცა ჩემი ნიჭის ვაზვიადება.

ელეფ. (ერთი წამის შემდეგ) სხვა... ხვარამზე ვახსოვთ?

კორდ. ოღონდაც, განა წარმოსადგენია ამ ცქრიალა და წმინდა ანგელოზის დავიწყება? არა, ბატონო, ის რაც ღრმად აღიბეჭდება კაცის გონებაში, არასოდეს არ წაიშლება.

ელეფ. ეჰ, ეგენი, რა ბედნიერი ვიყავი იმ დროებაში, რა ბედნიერი! რეზიკომ ალბად ყველაფერი მოგწერათ, რაც ჩვენ შეგვემთხვა?

კორდ. (ამოიხიხინებს) დიად, მომწერა, მაგრამ, თავად, რა საჭიროა წარსულის მოგონება, ნამეტნავად დღეს.

ელეფ. (რეზიკოს შესაშინავს კულისებში) აგერ ისიც, ბაღში ჩასულა.

კორდ. (გაიჟვრება) აა, ვხედავ. ღმერთო ჩემო! რა ცვილილება! ნუ თუ ეს რეზიკოა?

ელეფ. განა არ იცით, რომ...

კორდ. დიად, რალაცა ჰირად გადმომცეს ქალაქში, მაგრამ უნდა მოვახსენოთ, მაგ ხმებს მაინც და მაინც ღიძ მნიშვნელობას არ ვაძლევდი. მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს იმ თავზარ დამცემი ტრაგედიის შედეგია. ამის თა-ვიდან ასაცილებლად საჭირო იყო მისი საზ-

ღვარგარედ გამგზავრება და არა აქ ყოფნა, საცა ერთი ასად უროკველება მწარე მოგონება.

ელეფ. არა, ბატონო, მარტო ეგ მიზეზები რომ ყოფილიყო, მაშინ მეც მექნებოდა რამე იმედი, მაგრამ, ვაი, რომ საქმე უფრო რთულია, ვიდრე თქვენა გგონიათ. ხომ ხედავთ, რასა ჰვავს. იმის გარდა, რომ დარღისაგან სულ ჩონჩხით იქცა, ხმასაც არავისა სცემს, რალაც უსახლვრო სვედით არის შეპყრობილი. ჰფიქრობს, სულ ჰფიქრობს. ტკბილი და ნახი სიტყვა ლახვარივით ესობა გულში. იმდენად უბედური ვარ, რომ ნუგეშის მიცემა-ც-კი ვერ გამიბედნია. ეს ქორწილიც მაგისთვის დავაჩქარე, მეგონა იამებოდა, მაგრამ... ეჰ

III

იგინაიფ და რეზიკო

რეზ. (შემოდის მარჯვნივ. რა შესაშინავს იმთა, უმეტრე შესდგება) მამა, ეგ თქვენა?

ელეფ. მე ვარ, შვილო...

რეზ. საქმე როგორაა? სტუმრები რალაც ხანტად მოდიან. ყარაძიაშვილს თუ გიჟუნებენ. (უმეტრე) აჰ, ეგენი!

კორდ. რეზიკო! (მოეხვევა)

რეზ. რა მოხარული ვარ!... სიდან?

კორდ. ქალაქიდან, და რაკი ვავიგე შენი აქ ყოფნა, ავდექ და აქეთკენ გამოვეშურე.

რეზ. კარგთაც მოკტეულხარ, მით უმეტეს, დღეს ჩვენი გოგონას ქორწილი გვაქვს.

ელეფ. (გაღის მარჯვნივ)

რეზ. (უეტრე მოადრულებს, შუბლზე იტაცებს ხელს. ჯდაბს მაგადასთან. კორდელს უჩვენებს სკამს. კორდელი ჯდაბს. რეზიკო ჰპირროს გაბაბლესს. ჰატარას ჰაუხს)

კორდ. სხვა, როგორ გიციობო?

რეზ. ეჰ, რალა საკითხი ვარ!

კორდ. თითქოს გამოკცილიხარ.

რეზ. ჰო, ის აღარა ვარ, რაც ვიყავი.

კორდ. ყოჩაღად იყავი, გულს ნუ გიტეხ.

რეზ. (სახეზე უსიამოვნების ეფფერი გაღაჭპრავს და უტბ) იცი რა, ეგენი! ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს, და უნდა გამოგიტყდე, არც სხვისი მოსმენა მეპიტნავება მაგერ რივად.

კორდ. დამშვიდდი, მეგობარო. დანიშნულის შესახებ მსურდა ცოტა რამ შეთქვა, მაგრამ...

ნახავს, ქალაქი ნამდვილ ევროპულ გემოვნებაზე გაღაზიანდა, სწავლა-განათლების საქმე, შედარებით, წარმატებაშია, მოქალაქეობრივი ცხოვრება დღით-დღე ვითარდება...

დიად, იგი იყო ჩვენის ქალაქის ღირსეული წარმომადგენელი-მზრუნველი, ადამიანთა უსახლვერო მოყვარული, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პატიოსანი და გულწრფელი პუბლიცისტი...

იყო გონიერი მოლაპარაკე, სიტყვა შეზომილი, ფხიზელი მოაზრე, ენა მახვილი, დუმილის დროსაც-კი რწმენის შთანგრავაგი!..

ამ სტრიქონების დამწერი ხშირად შესწრებია მის დუმილში მტკიცელებას, თუ შეიძლება ასე ითქვას...

სამყარო რომ შებრუნებულიყო, ზესცნელი ქვესცნელი დასჯაებოდა, ვ. ნ. ჩერქეზიშვილი მაინც პიტალო კლდესავით მდგომარე დარჩებოდა...

ასეთი ძლიერი სული იღვა მასში...

ასეთი ძლიერი სულის პატრონი ველებიან მაღაზოდ დევნულთა და შევიწროებულთა...

სიღარიბეში დახადებულ-აღზრდილმა, ხელმოკლეობაში გაატარა თვისი სიცოცხლე და ეს იმითომ რომ, თუ ჰქონდა რამ, არა ზოგავდა მოძმეთა თვისთავის...

ასეთია ბუნება ღრმად მოაზრე კაცთა...

იგლოვეთ, ქალაქის მცხოვრებელნო, დიდნო და მტკრენო, რუსნო და ქართველნო, სომეხნო და თათარნო, ებრაელნო და ქალდეველნო, სხვა და სხვა ტომთა და ერთა შვილნო, თბილისს შემოფარებულნო, აღარა გაყავთ ვასილ ჩერქეზიშვილი, თქვენი მამა და თანაბარ-თანამგრძობი მზრუნველი...

დიდება და სამარადისო სიკვანძე შენ, ქალაქისათვის თავდადებულო, მიუყვრებელი კაცო, დიდო მოქალაქე, პატიოსანო მოღვაწეე!..



ნ ა კ ა დ უ ლ ი

ვერცხლს ცვრებათ მოიღვრება
მოჩუხჩუხე ნაკადული,
იკლანკება, მოლილიკება,
ყვავილებში ჩაბოლული...

*

ბუჩქის ფესვებს ნახაღ ჰკოცნის.
ობოლ ასკილს უმღერს ნანახს,—
ვერ შევიძიებ და ვერ ავხსნი
სიცოცხლისა გამოცანას?...

კიკნა-ფშველა

მუშენიერება

სერგეი მაკოვსკის წერილიდან

(დასასრული. იხ. „თ. დ. ცხ.“ № 23, 24, 25, 26 და 27)

ჩემი სიტყვები „ესტეტიზმის“ თეორია არ არის. ლეონ X, რომის პაპი არ იყო მართალი, როდესაც ბენეწუტო ჩელინის ამ სიტყვებით მიმართა: „Le Christo vaee un homo“ (ქრისტე ღირს ერთ კაცდაა). ეს მაშინ, როდესაც ბენეწუტო ჩელინის კაცი შემოაკვდა და თავის გამართლების მაგიერ, პაპს ოქროს ჯვარცმა მიართვა საუცხოვრო რამ ნაკეთობისა. დანაშაული არ გამართლდება მშვენიერებით, ისე როგორც არ შეიძლება ხელოვნების გამართლება მართალითა. მხატვრულ შემოქმედებისა და ზნეობრივობის სინტეზი არ არსებობს.

მორალური უნდა იყოს საქციელის დაფასება. ცხოვრება ისეთი უნდა იყოს, როგორც შექმნილია. შიგ ტანჯვაც უნდა იყოს, ვასაქირიც; წყურვილიც; ბედნიერებისა, სარგებლობისა, წმინდანობისა. დაე, ადამიანები მიესწრაფონ ცხოვრების მიზნებს, სოციალურ იდეალთ, განზორციელებას ამ ქვეყნად „სიყვარულისა და სიკეთისას“. რავდენადც მეტი სტიქიური იქმნება მით უკეთესი. მშვენიერების უარყოფა კი არ არის ხელოვნებისთვის საშიშარი, არამედ ცხოვრების უფერულება, ცხოვრების უშინაარსობა. როდესაც ცხოვრება თავისი შინაარსით და მისი დროებითი მიზნებით ღარიბდება, მაშინ ღარიბდება თვით შემოქმედებისა ღონე და ძალი. მშვენიერება და ცხოვრება ორი სახეა ერთის საიდუმლოებისა... მხოლოდ უარყოფა ხელოვნებისა კი ცხოვრების მიზანთა სახელით—ბავშობაა; უმანკო და წმინდა ბავშობა, როდესაც ამს ლაპარაკობენ სიყვარულისა სა უმეტრების გამო, ხოლო — შესაბამელი და საცოდავი ბავშობა, როდესაც ეს მოსდით ან მოუსაზრებლობით და გაუგებრობით ან დასაპირფერო უცოდველობით და ფარისევლობით.

ხალხთა ცხოვრება ავრიცხველ სხვა და სხვა ნაწილთაგან შესდგება. ხელოვნება კი, როგორც მოღვაწეობის ერთი დარგი, როგორც

რეზ. აქამდე სად იყავი?

გლეხი. ვევეონა თავისთავად ვაივლიდა.

დიხ. (შეცხრად) ვინა სწამლობდა? მკითხავი?

გლეხი. (ხმა ჩაწყვეტილ) ჰო.

რეზ. წაიდი მოემზადე. ცხენები ხომ გყავის?

გლეხი. მყავს, ბატონო. (გადას)

ელეფ. როგორ, მიიხიარ?

რეზ. დიად.

ელეფ. მე-კი უიარი ვუთხარი.

რეზ. (შედას სხლში. გორდელი და ელეფთურ მუნჯურად საუბრებუნ წუთის შემდეგ გამოვა რეზივო ზალტო გადამშული, ტუვისი სავით, რამელშიც ინსტრუმენტები აწვევია)

ელეფ. შეილო! ფილიბეს, ან ონისეს გაკატან.

რეზ. საპირო არ არის.

ელეფ. იქნება ვევენში ისურვოს გასეირნება? კორდ. დიდის სიამოვნებით.

რეზ. მადლობას მოგასხენებთ. ახლა ისლა მაკლია, დანარჩენი სტუმრებიც უკან დამადევნოთ. ოჰ, მამა, მამა, შენ ხომ თავისიანების მეტი არა გავონდება რა.

ელეფ. მაშ რა ვქნა, შეილო. მეშინიან. ავიდა ხარ. გიფრთხილდები,

რეზ. ნურაფრისა ნუ გემშინიან. არც სიკვდილს აქვს დიდი ფასი, არც სიცოცხლეს. (აკრევის და შიდას. უღებ შესდგება ერთი წამით. გაშეილება, გამობრუნდება და ისევ სხლში შედის)

ელეფ. (გორდელს) იციტ რისთვის დაბრუნდა?

კორდ. (გაკვირვებით ანიშებს „არა“ და რაღაცას ჭიბთხავს)

როდამის ხმა. (კუდასეიშო) დააჩუმეთ, დააჩუმეთ ეს საცოფენი!

VII

აიგნიეუ და რეოამი

როდ. (ელეფურს მოთქმით) ბატონო, ძალღები ღმუიან და ნუ გაუშვებ იმ დასაქცევ ხაოტინში. ვემუღარები, ნუ გაუშვებ. — ძალღები ღმუიან!

რეზ. (გამოდას, როდამის მოთქმას უური მოჭკრას. ელეფურს) ოჰ, მამა! ნუ მოსთქემას, მეშინიან, გააჩუმე, გააჩუმე, ღვთის გულისათვის გააჩუმე.

ელეფ. (როდამს) გაჩუმდი, როდამ. — რა ღმერთი გიწყრება?

რეზ. ფუ ასეთ სიცოცხლეს, ასეთ სიცოცხლეს...

ტრიფონ რამიშვილი

ვ ა რ ა

შ ე ს ე ე დ რ ა

რა მიამბე, აღარ მასხვოს კარნობა სთვლებს და აზრი კვდება; ტირიენბლი, როგორც ბავშვი, ეს... ეს აღარ მავიწყდება.

რას გადარო, რას? — არ ვიცი ჯავარ აყრილს ტირიფს, ვაზსა, მორცხვად დახრილ სათუთ იას, მთის ბალახს თუ მიხვას ნახსა!?

ქურუმი ხარ ჩემის ღმერთის, მავრამ... მავრამ არ ვაკოცებ! თორემ, ვიცი, ცა მიმიხიბობს, — დელამიწას გავაოცებ...

ბაბილინა.



დიქსია

(გაგებლება იხ. თ. ც. № 26)

V*

ნიშნების დასმა კითხვის დროს.

